

სტატია

ნინო თევდორაძე
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

მხატვრული ტექსტის მნიშვნელობა როგორც მენტალური კონსტრუქტი და როგორც ხდომილება მხატვრულ კომუნიკაციაში

საკვანძო სიტყვები: *მხატვრული ტექსტის მნიშვნელობა, ვერბალური კომუნიკაცია, მხატვრული კომუნიკაცია, კლასტერ-კონცეფცია*

მხატვრული ტექსტის მნიშვნელობის კონცეპტი თანამედროვე ლიტერატურული კრიტიციზმის ფუნდამენტური პრობლემაა, და, შესაბამისად, მას საკმაოდ დიდი გამოცდილება აქვს დაგროვილი კვლევის ამ სფეროში. თუმცა, აღნიშნული კონცეპტის კვლევა სცდება ლიტერატურის თეორიის ფარგლებს, რამდენადაც ტექსტის მნიშვნელობა, როგორც ტექსტის შესწავლის უმნიშვნელოვანესი ასპექტი, კიდევ არაერთი დისციპლინის ინტერესის საგანს წარმოადგენს – კერძოდ კი ლინგვისტიკის და პრაგმატიკის, ხოლო ხელოვნების ნაწარმოების მნიშვნელობა – ანალიტიკური ესთეტიკის განსაკუთრებული ინტერესის ორბიტაშია მოქცეული. ბოლო რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში, მხატვრული ტექსტის მნიშვნელობის კონცეპტის კვლევისას, ზემოთ აღნიშნული დისციპლინების თეორიებმა დიდი დრო დაუთმო ისეთი საკითხების შესწავლას, როგორებიცაა: მნიშვნელობის ლოკაციის პრობლემა; კონვენციები, რომლებიც შესაძლებელს ხდის მნიშვნელობებს; მნიშვნელობის პროდუქციას და რეცეფციას. მათი როგორც მიღწევების, ისე შინაგანი წინააღმდეგობების ჩვენება მნიშვნელოვანი იქნება ალტერნატიული კონცეფციის აუცილებლობის შესახებ მსჯელობისათვის, რამაც, შესაძლოა, შემოგვთავაზოს მხატვრული ტექსტის მნიშვნელობის კონცეპტუალიზაციის ახალი თეორიული ხედვა.

წინამდებარე სტატია მიზნად ისახავს არსებული ინტერდისციპლინარული ცოდნის სინთეზირებას მხატვრული ტექსტის მნიშვნელობის კონცეპტის ირგვლივ და მხატვრული ტექსტის მნიშვნელობის

ანალიზს ე.წ. „კლასტერ-კონცეფციაზე“ – ტექსტის ბუნებისა და ტექსტის მნიშვნელობის ანდერს პეტერსონის ალტერნატიულ კონცეფციაზე – დაყრდნობით. აღნიშნული კონცეფციის მიხედვით, ტექსტის მნიშვნელობა მიჩნეულია მენტალურ კონსტრუქტად, რომელიც მოიცავს ადრესანტის – გამგზავნი სუბიექტის – ნაგულისხმევ მნიშვნელობას, ადრესატთა – მიმღებ სუბიექტთა – მიერ კონსტრუქტირებულ მნიშვნელობებს და კომენტატორთა მიერ ექსპლიციტურ მნიშვნელობებს. მიჩნეულია, რომ რადგანაც კლასტერ-კონცეფცია გათვლილია ზოგადად ვერბალურ კომუნიკაციაზე, ის იძლევა შესაძლებლობას, შესწავლილ იქნას მნიშვნელობის ფორმირების სპეციფიკური პროცესი მხატვრული კომუნიკაციის ფარგლებშიც. სტატიაში ხაზგასმულია ამ პროცესთან ერთად მკითხველის კოგნიტური და ემოციური რეაგირების აღწერის მნიშვნელობა ნაწარმოების „სხვაგვარობასა“ (otherness) და „სინგულარულობაზე“ (singularity), რომელთაც დერეკ ატრიჯი მიიჩნევს არა როგორც ნაწარმოებისათვის დამახასიათებელ თანდაყოლილ ნიშანს, არამედ როგორც ხდომილებას, რომელიც „ხდება“ რეცეფციის პროცესში.

სტინ ჰოგამ ოლსენი, თავის ნაშრომში „მხატვრული ნაწარმოების „მნიშვნელობა“ აცხადებს, რომ „უკანასკნელი ნახევარი საუკუნის განმავლობაში, ლიტერატურის თეორიის განვითარება ძირითადად მნიშვნელობის კონცეპტის შესწავლას ეფუძნებოდა ... „ისეთი გამონათქვამები, როგორებიცაა „ლექსის მნიშვნელობა“, „ნაწარმოების მნიშვნელობა“, „პოეტური მნიშვნელობა“, „მხატვრული ტექსტის მნიშვნელობა“ ლიტერატურული თეორიის ცენტრალურ პრობლემად იქცა“ (Olsen 1982, 13). მაგრამ მხატვრული ტექსტის მნიშვნელობის კონცეპტზე ამგვარი ფოკუსირების მიუხედავად, არ არსებობს თანხმობა თეორიებს შორის მისი მთლიანი ბუნების შესახებ – ის ავტორის, ტექსტისა და მკითხველის სამკუთხა ურთიერთმიმართების შედეგია; თუ ავტორის ინტენციის პროდუქტი; თუ თავად ტექსტში არსებობს, როგორც თვითშემცველი მნიშვნელობის წარმომქმნელი სისტემა; თუ მისი კონსტრუქცია ტექსტის გარეთ ხდება კითხვის პროცესში; თუ ტექსტის შიგნით ხდება მისი დეკონსტრუქცია; თუ დაკავშირებულია სოციუმთან, რომელიც თანხმდება, როგორ მოახდინოს მისი ინტერპრეტირება; რა განაპირობებს მის გენერირებას – ენა, ისტორიული და კულტურული კონტექსტი თუ ესთეტიკური მახასიათებლები? ეგებ იგი საერთოდ დამოუკიდებელია ესთეტიკური აღქმისაგან? ამგვარი უთანხმოება, როგორც ჯეფრი სტაუტი აღნიშნავს, არის ნიშანი იმისა, რომ ეს თეორიები სხვადასხვა რამის შესახებ ლაპარაკობენ: „ზედმეტი მრავალფეროვნება უკვე მრავალფეროვნება კი აღარ არის, არამედ ცვლის თავად საკითხის არსს“ (Stout 1982, 6).

მნიშვნელობის ლოკაციის პრობლემა ლიტერატურის თეორიასა და ანალიტიკურ ესთეტიკაში

ლიტერატურათმცოდნეობასა და ანალიტიკურ ესთეტიკაში მნიშვნელობის ლოკაციის ირგვლივ არსებული უთანხმოება უმეტესად სამი ძირითადი პოზიციით გამოიხატება: მნიშვნელობა უშუალო კავშირშია ავტორის ინტენციასთან; ის არსებობს თავად ტექსტში; მკითხველები თავად ქმნიან მნიშვნელობას კითხვის პროცესში.

ტრადიციული ლიტერატურის თეორია, ახალი კრიტიციზმის წარმოშობამდე, ავტორს ყოვლისშემძლედ და ყოვლისმცოდნედ, ხოლო ბიოგრაფიულ და ისტორიულ კონტექსტს კი მხატვრული ნაწარმოების მნიშვნელობის დადგენის მნიშვნელოვან წყაროდ მიიჩნევდა.

პრაქტიკულმა კრიტიციზმმა უგულვებელყო ბიოგრაფიული და ისტორიული კონტექსტის როლის გათვალისწინება და მნიშვნელობას ტექსტის შიგნით ეძებდა, თუმცა მაინც ითვალისწინებდა ავტორის ინტენციის კონცეპტს იმდენად, რამდენადაც ტექსტს მიიჩნევდა საშუალებად, რომელიც ავტორის ინტენციას გადასცემდა მკითხველს. რიჩარდსის მიხედვით, „თუკი არ ვიცით, რის გაკეთებას ცდილობს ავტორი, მაშინ ვერ შევძლებთ, შევაფასოთ მისი წარმატება“ (Richards 2014, 186).

ახალმა კრიტიციზმმა მთლიანად უარყო „ავტორის ინტენციის“ თვით უმცირესი კვალიც კი და ის ტექსტის ობიექტური კრიტიციზმით – ე.წ. „სიტყვები გვერდზე“ (words on the page) – ჩაანაცვლა. მეცნიერული ობიექტურობის ინტერესიდან გამომდინარე, ახალი კრიტიციზმი მთლიანად ორიენტირებული იყო ტექსტზე და თვლიდა, რომ მნიშვნელობა ლოკალიზებული იყო თავად ტექსტში, ავტორის ინტენციისა და მკითხველის რეცეფციისაგან დამოუკიდებლად. ორივე მათგანი მცდარობად მიიჩნეოდა და მათ ლიტერატურათმცოდნე უილიამ უიმსატი და ფილოსოფოსი მონრო ბერდსლი „ინტენციონალურ მცდარობას“ (intentional fallacy) და „აფექტურ მცდარობას“ (affective fallacy) უწოდებდნენ (Wimsatt and Beardsley 1946, 468-488; Wimsatt and Beardsley 1949: 31-55). რადგანაც ავტორი და მკითხველები ტექსტს „ჩამოაშორეს“, მნიშვნელობა, რომელიც მუდმივად „ცხოვრობს“ ტექსტში, უცვლელად და უნივერსალურად იქნა მიჩნეული – „კულტურები იცვლებიან და მუდამ შეიცვლებიან, ლექსები რჩებიან და თავად გვეუბნებიან სათქმელს“ (Wimsatt and Beardsley 1949, 54). სწორედ ცნობილი პუბლიკაციის – „ინტენციონალური მცდარობა“ – გამოქვეყნების შემდეგ ლიტერატურათმცოდნეები და ფილოსოფოსები ორ „ბანაკად“ დაიყვნენ – ერთი მხარე მიიჩნევდა, რომ მხატვრული ტექსტის მნიშვნელობა დამოკიდებული იყო ავტორის ინტენციაზე (რასაც „ინტენციონალიზმი“

უწოდეს), ხოლო მეორე მხარე თვლიდა, რომ მნიშვნელობა ავტორისგან დამოუკიდებლად არსებობდა.

ის თვალსაზრისი, რომ ტექსტი არის ავტონომიური ვერბალური სტრუქტურა, საკუთარ თავში ჩაკეტილი წარმონაქმნი, რომლის მნიშვნელობა დეტერმინირებულია და უცვლელად არსებული, განსაკუთრებული ხაზგასმით არის ნათქვამი მონრო ბერდსლის წიგნში – „ესთეტიკა“, რომელიც მე-20 საუკუნის ანალიტიკური ესთეტიკის ყველაზე ცნობილ და გავლენიან ნაშრომად ითვლება. ბერდსლი ერთმანეთისაგან გამიჯნავს ადრესანტის ნათქვამს და ნაგულისხმევს და მიიჩნევს, რომ ყოველდღიური კონტექსტებისაგან განსხვავებით, როდესაც გვანტერესებს, თუ რეალურად რისი თქმა უნდოდა მეტყველ სუბიექტს მხატვრულ ნაწარმოებებში, რაც ნამდვილად მნიშვნელოვანია, არის ის, თუ რას ამბობს მწერალი და არა ის, თუ რას გულისხმობს – ნაწარმოები თავად არის მნიშვნელობის მატარებელი, ავტორის მნიშვნელობისაგან დამოუკიდებლად (Beardsley 1981, 26-29).

ანტიინტენციონალიზმს უპირისპირდება ინტენციონალიზმი, რომელიც სამეტყველო აქტების თეორიების (იხ. Austin 1962; Searle 1969) და, განსაკუთრებით, გრაისის მნიშვნელობის შესახებ არსებული თეორიების (იხ. Grice 1969; Grice 1989, 213-223) გავლენას განიცდიდა. **ინტენციონალისტური თეორიები**, როგორც წესი, სხვადასხვა პოზიციებიდან გვანახებენ ავტორის ინტენციას: აქტუალური ინტენციონალიზმი (**actual intentionalism**) გვეუბნება, რომ ტექსტის მნიშვნელობა იდენტურია ავტორის ნაგულისხმევი მნიშვნელობისა (იხ. Knapp and Michael 1982, 724); ნაკლებად „პრეტენზიული“ აქტუალური ინტენციონალიზმი (**modest actual intentionalism**) (იხ. Hirsch 1967; Carroll 2003, 197-214), განსხვავებით აქტუალური ინტენციონალიზმისაგან, დაჟინებით არ აცხადებს, რომ მხატვრული ნაწარმოების მნიშვნელობა მთლიანად დეტერმინირებულია ავტორისეული ინტენციით, არამედ თვლის, რომ ეს უკანასკნელი შეთავსებადია ენობრივი ნიშნების თანმიმდევრობის მნიშვნელობასთან. თუმცა ჰირჩის ანალიტიკურ ესთეტიკაში „სიტყვათა თანმიმდევრობა არაფერს ნიშნავს იქამდე, სანამ მისგან ვინმე ან რაიმეს არ იგულისხმებს, ან რაიმე აზრს არ გამოიტანს. არ არსებობს მნიშვნელობათა ჯადოსნური სამყარო ადამიანის ცნობიერების მიღმა“ (Hirsch 1967, 4); **ჰიპოთეტური ინტენციონალიზმი (hypothetical intentionalism)** (იხ. Tolhurst 1979; Levinson 1992; Levinson 2002) აქცენტს აკეთებს მკითხველთა – ე.წ. „სამიზნე აუდიტორიის“ (intended audience) – ჰიპოთეზებზე ავტორის ნაგულისხმევი მნიშვნელობის შესახებ. ტექსტის მნიშვნელობის „გაგება ყველაზე უკეთ შესაძლებელია, თუკი ინტენცია გამყარებულია ავტორის ცოდნითა და დამოკიდებულებებით,

რომელსაც იგი ფლობს, როგორც თავად „სამიზნე აუდიტორიის ერთ-ერთი წევრი“ (Tolhurst 1979, 11).

როგორც ტექსტიდან, ისე ავტორის ინტენციიდან, ფოკუსმა გადაინაცვლა მკითხველზე, რომელიც არის მნიშვნელობის „რეალიზატორი“ და თავად კითხვის პროცესზე – „რა ემართება ტექსტს კითხვისას“ (Iser 2000: 311). ამ პროცესს ეწოდა „რეცეფცია“ რეცეფციულ ესთეტიკასა და მკითხველზე ორიენტირებულ კრიტიციზმში.¹ სტენლი ფიში აცხადებს, რომ „მნიშვნელობა არის ხდომილება – ის, რაც ხდება არა გვერდზე, სადაც მივეჩვიეთ მის მოძებნას, არამედ ნაბეჭდისა (ან ბგერებისა) და მკითხველ-მსმენელის აქტიურად მედიატიური ცნობიერების ინტერაქციაში“ (Fish 1971, x). ფიშისათვის ინტერპრეტაცია კონსტრუქციის ხელოვნებაა – „ინტერპრეტაციები ლექსების დეკოდირებას კი არ ახდენენ, არამედ თავად ქმნიან მათ“ (Fish 1980, 327).

მნიშვნელობა სემიოტიკურ თეორიებში

სოსიურისეული ნიშნის კონცეპტმა და ლინგვისტური ნიშნებიდან მისმა გავრცობამ სხვა ნიშანთა სისტემებზე, შესაძლებლობა მისცა ლიტერატურულ სტრუქტურალიზმს, ლიტერატურა როგორც სისტემა, რომელიც ენობრივი სისტემის მსგავსად ფუნქციონირებდა, ისევე ეკვლია, როგორც ეს უკანასკნელი, და, რომელიც მის მსგავსად, გარკვეული კონვენციების თანახმად იძენდა მნიშვნელობას. ახალი კრიტიციზმისგან განსხვავებით, რომელიც მხატვრულ ტექსტს დეტერმინირებულ, სტაბილური მნიშვნელობის მქონე თვითკმარ ერთეულად მიიჩნევდა, სტრუქტურალიზმი მას ხედავდა, როგორც ნიშანთა სტრუქტურას – სიგნიფიკაციის სივრცეს.

პოსტსტრუქტურალიზმისათვის ნებისმიერი კულტურული ფენომენი, მათ შორის მხატვრული ტექსტი, შეიძლება დაექვემდებაროს სემიოტიკურ ანალიზს (Barthes 1967; Barthes 1972.) და ყველა მათგანი მიიჩნევა ტექსტად. სემიოტიკური გაგებით, ტექსტი არის ნებისმიერი ის ფენომენი, რომელსაც სიგნიფიკაციის საშუალებით შეუძლია მნიშვნელობის გენერირება. ამდენად, ნებისმიერი კულტურის ქმნადობის ფორმა – ვერბალური თუ არავერბალური – ლექსი, ქანდაკება, ფერწერული ტილო, ცეკვა და ა.შ., შეიძლება წაკითხულ იქნას, როგორც ტექსტი.

1 რეცეფციული ესთეტიკა ძირითადად ასოცირდება გერმანულ რეცეფციულ კრიტიციზმთან (გერმანული რეცეფციის ცნობილი წარმომადგენლები არიან ვოლფგანგ აისერი და ჰანს რობერტ იაუსი), ხოლო მკითხველზე ორიენტირებული კრიტიციზმი – ამერიკულ რეცეფციულ კრიტიციზმთან (სტენლი ფიში, დევიდ ბლეიქი). თუმცა ამ ორ შორის მჭიდრო კავშირი არსებობს.

პოსტსტრუქტურალისტები ცდილობდნენ ერვენებინათ „ავტორის სიკვდილი“² და დაბეჯითებით აცხადებდნენ, რომ მნიშვნელობის წყარო თავად ენასა და კულტურაშია და არა ავტორში. ეს უკანასკნელი, ოდესღაც ტექსტის „დამბადებელ“ ავტორიტეტად მიჩნეული, მათ მიერ მხოლოდ უბრალო სკრიპტორად გამოცხადდა. პოსტსტრუქტურალისტებისათვის ტექსტი იქცა ინტერტექსტად – როგორც ბარტი აღნიშნავს, „უთვალავი ციტატების მოზაიკად“ – მრავალგანზომილებიან, სხვადასხვა ტექსტისგან აგებულ სივრცედ, რომელშიც არც ერთი მათგანი არ არის პირველქმნილი, არამედ ერთმანეთში აღრეული და შერწყმული“ (Barthes 2002, 223). შესაბამისად, მნიშვნელობები ხდება დამოკიდებული სხვა მნიშვნელობებზე და ტექსტები როგორც კულტურის პროდუქტები, იქცევა სხვა კულტურათა მიერ შექმნილი ტექსტების პროდუქტებად. ტექსტი, როლან ბარტის მიხედვით, გახსნილია უსასრულობისაკენ: ვერანაირი მკითხველი, საგანი, მეცნიერება, ვერ ამოწურავს მას და ტექსტის ანალიზის მიზანი მნიშვნელობის პოვნა კი არ არის, არამედ „ტექსტის მრავლობითობის, მისი სიგნიფიკაციური პროცესის უსასრულობის განუსაზღვრელად შეცნობა, წარმოსახვა და განცდა“ (Barthes 1988, 262).

ლუი იელმსლევის დენოტაციისა და კონოტაციის კონცეპტებზე დაყრდნობით, ბარტი აღწერს მათ, როგორც სიგნიფიკაციის ორ სისტემას. დენოტაცია არის ნიშანთა მიერ გენერირებული პირდაპირი მნიშვნელობა – პირველადი სიგნიფიკაცია – რომელსაც იზიარებს საზოგადოების ყველა წევრი, ხოლო კონოტაცია – მეორადი სიგნიფიკაცია, რომელიც მნიშვნელობების გენერირებას ახდენს აღმნიშვნელთა დაკავშირებით მნიშვნელობათა ფართო კულტურულ კოდებთან. ბარტი კონოტაციებს ახასიათებს, როგორც მითებს. მითი მოქმედებს უკვე არსებულ ნიშნებზე დაყრდნობით. ბარტის მიხედვით „მითი არის სპეციფიკური სისტემა, რამდენადაც ის აგებულია მასზე ადრე არსებული სემიოლოგიური ჯაჭვის მიერ: იგი მეორადი სემიოლოგიური სისტემაა. „ნიშანი (სახელდობრ კონცეპტის ან ხატის ასოციაციური მთლიანი) პირველად სისტემაში, ხდება უბრალოდ აღმნიშვნელი მეორადში“ (Barthes 1972, 113). რამდენადაც აღმნიშვნელები არ წარმოქმნიან აღსანიშნებს, არამედ აღმნიშვნელთა უსასრულო ჯაჭვს, მნიშვნელობა ხდება ცვალებადი, არასტაბილური და არადეტერმინირებული. ჟაკ დერიდა აცხადებს, რომ რამდენადაც მნიშვნელობა გამომდინარეობს აღმნიშვნელთა უწყვეტი ჩანაცვლებებით და არა დამოუკიდებლად არსებულ ობიექტურ სამყაროსთან მიმართებაში, იგი ვერასოდეს გახ-

2 კონცეპტი პირველად შემოიტანა ფრანგმა ლიტერატურათმცოდნემ და სემიოტიკოსმა როლან ბარტმა.

დება სტაბილური და ფიქსირებული. განსხვავებათა მიმდევრობით მნიშვნელობა უწყვეტად იცვლება და საბოლოო მნიშვნელობა არასოდეს მიიღწევა (Derrida 1988). დერიდას მიხედვით, ნიშნები უსასრულოდ მეორდება, რაც იმას ნიშნავს, რომ მოცემულ ნიშანს გააჩნია ცვალებადი სიხშირე და შეიძლება სხვადასხვა კონტექსტში სხვადასხვა მნიშვნელობით შეგვხვდეს.

მტკიცე რწმენა იმისა, რომ მნიშვნელობები არადეტერმინირებული და მუდმივად ცვალებადია და რომ მათ წარმოქმნის ენა, და არა ენის გამომყენებლები, პოსტსტრუქტურალიზმის ორ უმთავრეს პრინციპად შეიძლება ჩაითვალოს.

მნიშვნელობები ხდება დეტერმინირებული ენის გამომყენებლების მიერ და კონტექსტის საშუალებით ლინგვისტურ და პრაგმატიკულ თეორიებში

1950-60-იან წლებში ლინგვისტურმა სკოლებმა დაიწყეს ენის შესწავლა კონტექსტში. მათგან აღსანიშნავია **ანთროპოლოგიური ლინგვისტიკიდან** წამოსული თეორიები, რომლებიც ამერიკელი ლინგვისტის, ფრანც ბოას სახელს უკავშირდება (იხ. Hymes 1974); **სისტემურ-ფუნქციური ლინგვისტიკის** თეორიები, რომლებიც მაიკლ ჰალიდის სახელთან ასოცირდება (Halliday 1973, 50-51; Halliday 1978) და რომლებიც იქამდე არსებულ ლინგვისტურ შრომებს ეფუძნება. მათგან ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი ჯონ რუპერტ ფირსს ეკუთვნოდა (იხ. Firth 1957); მიხაილ ბახტინისა და ვალენტინ ვოლოშინოვის თეორიები 1980-იან წლებში (Bakhtin 1971, 176-196). ფილოსოფოსებმა (განსაკუთრებით კი ჯონ ოსტინი, ჯონ სერლი და პოლ გრაისი) აჩვენეს, რომ ენის გამოყენება არასოდეს ხდება მისი გამომყენებლების და იმ კონტექსტის გარეშე, რომელშიც იგი ფუნქციონირებს. კომუნიკაციის დროს მნიშვნელობის ფორმირების პროცესის შესწავლა და იმპლიციტურ მნიშვნელობათა საკითხები ლინგვისტური პრაგმატიკის მნიშვნელოვანი კვლევის სფერო ხდება (იხ. Levinson 1983; Mey 1993; Verschueren 1999). ამ თეორიებმა შეცვალა სოსიურისეული აქცენტი ენის სისტემაზე, რომლის ფარგლებში მნიშვნელობათა გენერირება ხდებოდა გარკვეული წესებისა და კონვენციების საფუძველზე და ძირითადი ყურადღება გადაიტანა ენის აქტუალიზაციაზე (გამოყენებაზე) და ენობრივ სუბიექტებზე (ენის გამომყენებლებზე). ლინგვისტიკის კონცენტრირებამ საკომუნიკაციო აქტზე, და, შესაბამისად, დისკურსის კონცეპტზე, განაპირობა ლინგვისტიკაში კომუნიკაციური პარადიგმის წარმოშობა. დისკურსის ლინგვისტური თეორია

პირდაპირ კავშირშია თანამედროვე ლინგვისტიკის კომუნიკაციურ პარადიგმასთან და სწორედ დისკურსი გვევლინება ამ პარადიგმის ცენტრალურ კონცეპტად. მიუხედავად იმისა, რომ ლინგვისტური, პრაგმატიკისა და დისკურსის თეორიები ენის სხვადასხვა ასპექტებზე ფოკუსირებენ მის გამომყენებლებთან მიმართებაში, ყველა მათგანის ძირითადი ინტერესის სფეროში მოქცეულია საკომუნიკაციო აქტის მონაწილეები – ადრესანტი (გამგზავნი) და ადრესატი (მიმღები); მათი ურთიერთმიმართება, ანუ ინტერსუბიექტურობა; და კონტექსტი, რომელშიც საკომუნიკაციო აქტს აქვს ადგილი. ამ თეორიებს ძლიერი ზეგავლენა ჰქონდა ლიტერატურის თეორიაზე და მათ ლიტერატურის შესწავლა დაიწყო, როგორც „ლინგვისტური კომუნიკაციის სახეობისა“ (Johansen 2002, 73), ხოლო მხატვრულ ტექსტებს იკვლევდნენ, როგორც „ენობრივ გამონათქვამებს, რომელთაც ავტორი უზიარებდა მკითხველებს მოცემულ დროსა და მოცემულ სოციალურ და კულტურულ გარემოში“ (ibid., xii).

ტექსტის მნიშვნელობის და ვერბალური კომუნიკაციის ალტერნატიული კონცეფცია

სტატიის შესავალ ნაწილში ჩვენ ხაზი გავუსვით მხატვრული ტექსტის მნიშვნელობის კონცეპტის ირგვლივ არსებულ თეორიათა უთანხმოებას. თვით სტატიის ფარგლებშიც კი ნათელია, რომ ეს უთანხმოება მრავალხედიან პანორამას ჰგავს: ლიტერატურათმცოდნეობითი და ანალიტიკური ესთეტიკის ობიექტივისტური თეორიები მნიშვნელობას თავად ტექსტში ეძებენ და თვლიან, რომ იგი ფიქსირებული და დეტერმინირებულია და მისი პოვნა შესაძლებელია „ტექსტის სიტყვებში“ (words on the page); სტრუქტურალისტებისათვის მნიშვნელოვანია მხატვრულ ტექსტში „ობიექტურად მოცემული“ სტრუქტურების კვლევა მნიშვნელობის ძიებისას; პოსტსტრუქტურალისტებს სჯერათ, რომ თავად ენა ამარაგებს ტექსტს მნიშვნელობით და ამ უკანასკნელის მუდმივი ცვალებადობა იწვევს მის არასტაბილურობასა და არადეტერმინირებულობას; მკითხველზე ორიენტირებული თეორიები გვარწმუნებს, რომ თავად მკითხველზეა დამოკიდებული, რა მნიშვნელობას ჩადებს ტექსტში; ანალიტიკურ ესთეტიკას ყველა ტიპის ხელოვნება აინტერესებს და ანალიზი, რომელსაც ის გვთავაზობს მხატვრული ტექსტებისათვის და მათი მნიშვნელობისათვის, ბუნებრივად განკუთვნილია ზოგადად ხელოვნების ნაწარმოებისათვის; მნიშვნელობის შესახებ არსებული პრაგმატიკული თეორიები უმეტესწილად გრაისის მნიშვნელობის ანალიზზე დაფუძნებული კომუნიკაციურ-

ინტენციონალისტური თეორიებია, რომლებიც მხატვრული ტექსტის ანალოგად გამონათქვამს (utterance) იღებენ. სტატიის მიზანი არ არის ზემოთ წარმოდგენილ თეორიებს „ნაკლი“ აღმოუჩინოს, მით უმეტეს, რომ შეუძლებელია თითოეული მათგანის დეტალური კრიტიკული განხილვა მოკლე ნაშრომის ფარგლებში, მაგრამ მას შეუძლია განიხილოს და დაიცვას ის თეორია, რომელიც გამოავლენს მათ შინაგან წინააღმდეგობებს. ანდერს პეტერსონის კლასტერ-კონცეფცია ტექსტის მნიშვნელობისა და ზოგადად ვერბალური კომუნიკაციის გაგების ახლებურ გზას გვთავაზობს და რამდენადაც მხატვრული ტექსტის არსებობის მოდუსი არ განსხვავდება სხვა ტიპის ტექსტებისაგან, ის ბუნებრივად ესადაგება მხატვრული ტექსტის მნიშვნელობისა და მხატვრული კომუნიკაციის გაგებას. პეტერსონის კონცეფცია წარმატებით ავლენს ყველა იმ ნაკლს, რაც აღნიშნული პრობლემის შესახებ გვხვდება ლიტერატურათმცოდნეობით, ანალიტიკური ესთეტიკის, ლინგვისტიკის და პრაგმატიკის თეორიებში. თუმცა სტატია არ ცდილობს დაამტკიცოს, რომ კლასტერ-კონცეფცია ერთადერთი გზაა, გვაჩვენოს, თუ როგორ შეიძლება ტექსტის მნიშვნელობის კვლევა – თავად პეტერსონი აღიარებს ამგვარი სრული ჩანაცვლების შეუძლებლობას. მაგრამ, როგორც ქვემოთაც ვნახავთ, მისი კონცეფცია გვთავაზობს გადაამწყვეტ პასუხებს მნიშვნელობის შესახებ თეორიებში არსებულ არაერთ რთულ საკითხთან დაკავშირებით, როგორებიცაა: წინააღმდეგობები ტექსტის ონტოლოგიის ირგვლივ; თვალსაზრისი, რომ ფიზიკური გამონათქვამი ამავე დროს ლინგვისტური გამონათქვამია, რომელსაც აზრის გამოხატვა შეუძლია; თვალსაზრისი, რომ ტექსტის მნიშვნელობა იგივე ადრესანტის (გამგზავნის) მნიშვნელობას უდრის; თვალსაზრისი, რომ ტექსტი კონცეპტუალური კონსტრუქტია, რომელიც სიტყვებს საკუთარ ფიზიკურ „ტანში“ ატარებს.

ანდერს პეტერსონის თვალსაზრისი ტექსტისა და ტექსტის მნიშვნელობაზე, როგორც იგი თავად აღნიშნავს, განსხვავდება ამჟამად არსებული ტექსტის ბუნებისა და ტექსტის მნიშვნელობის გაგებისაგან ლინგვისტიკაში, ენის ფილოსოფიაში, ანალიტიკურ ესთეტიკასა და ლიტერატურათმცოდნეობაში (Pettersson 2017, 5). ტექსტის კლასტერ-კონცეფციის აგებისას, იგი დეტალურად აღწერს, როგორც თავად უწოდებს, „ტექსტის ორდინალურ კონცეფციას“ და საკუთარ ანალიზს ამყარებს ლინგვისტიკის, ლიტერატურათმცოდნეობითი და ფილოსოფიური აზროვნების გარკვეული ასპექტების კრიტიკული მიმოხილვით როგორც ზოგადად, ასევე ცალკეულ ინდივიდუალურ მოაზროვნეთა იმ შრომების განხილვით, რომლებიც ტექსტის ორდინა-

ლური კონცეფციის ნიმუშებს³ წარმოადგენენ, და, ასევე გვთავაზობს იმ შრომებსაც, რომელთაც იგი არსებითად სულისჩამდგმელ წყაროებად მიიჩნევს ტექსტის კლასტერ-კონცეფციისათვის.⁴ იგი მიიჩნევს, რომ ტექსტის ორდინალური კონცეფცია კლასტერ-კონცეფციისაგან ძირითადად, და, უპირველეს ყოვლისა, იმით განსხვავდება, რომ იგი ტექსტს აღწერს, როგორც ერთ მთლიან ობიექტს, ნაცვლად სხვადასხვა ობიექტებისაგან შემდგარ კლასტერისა (წარმონაქმნისა) (ibid., 13). ტექსტის ორდინალური კონცეფციისაგან განსხვავებით, რომელიც ტექსტს განიხილავს როგორც კონცეპტუალურ კონსტრუქტს – ერთ მთლიან ობიექტს – ერთდროულად ფიზიკურს და ვერბალურს, რომელიც საკუთარ ფიზიკურ „ტანში“ ატარებს სიტყვებს და მნიშვნელობას, კლასტერ-კონცეფციის მიხედვით, არსებობს ფიზიკური ეგზემპლარები (physical exemplars), ნიშანთა კომპლექსი და ტექსტის მნიშვნელობა. ეს უკანასკნელი პეტერსონისათვის ენობრივ სუბიექტებთან არის უშუალო კავშირში და მოიცავს მეტყველი ან მწერალი სუბიექტის, ანუ გამგზავნის, სხვადასხვა მსმენელი ან მკითხველი სუბიექტების, ანუ მიმღებთა და კომენტატორთა აზრებს. შესაძლოა გაჩნდეს თვალსაზრისი, რომ ყველა ეს ელემენტი – ფიზიკური ეგზემპლარები, ნიშნები და მნიშვნელობა – ორდინალურ კონცეფციაშიც შედის. თუმცა ეს ორი კონცეფცია მის სტრუქტურას სხვადასხვაგვარად ხედავს. ორდინალური კონცეფცია ნიშანთა კომპლექსსა და მნიშვნელობას ურთიერთიმართებაში განიხილავს და ორივე მათგანს ფიზიკურ ობიექტთან ინტეგრირებულად ხედავს. ამდენად, მისთვის ფიზიკური ეგზემპლარები, ნიშნები და მნიშვნელობა თავმოყრილია ცალკე აღებულ ერთ მთლიანში და არა ცალკეული ელემენტებისაგან შემდგარ კლასტერში, როგორც ეს კლასტერ-კონცეფციაში ხდება (ibid., 12-13). პეტერსონი დამაჯერებლად გამიჯნავს ერთმანეთისაგან ფიზიკურ ეგზემპლარებს, ნიშანთა კომპლექსს და ტექსტის მნიშვნელობებს: ფიზიკური ეგზემპლარი, კლასტერ-კონცეფციის მიხედვით, არის ალსანიშნი

3 ლინგვისტები – ალან კრუზი (Cruse 2004, 113-115); სუკანტა ჩაუდური (Chaudhuri 2010, 11); ჟილიამ ლაიკანი (Lycan 2008, 72) და ა.შ.; ხელოვნების ფილოსოფოსები – დევიდ დეივისი (Davies 2007, 18-19); ჯეროლდ ლევისონი (Levinson 1996); რობერტ სტეკერი (Stecker 2003), რომელთა თვალსაზრისები ტექსტის როგორც აბსტრაქტული ერთეულის შესახებ ერთმანეთის მსგავსია.

4 რიჩარდ რუდნერი, რომელმაც 1950 წელს დაწერილ სტატიაში – „ესთეტიკური ობიექტის ონტოლოგიური სტატუსი“ – პირველმა თქვა უარი, ტექსტი მიეჩნია ერთ მთლიან ობიექტად; მაიკლ რედი (1993), რომლის ცნობილი ანალიზი მეტაფორების სისტემის შესახებ გვიხსნის, თუ რა გავლენას ახდენს „არხი მეტაფორა“ (“conduit metaphor”) ჩვენს წარმოდგენაზე კომუნიკაციის შესახებ; როი ჰარისი (1988), რომელიც აცხადებს, რომ ტექსტის მნიშვნელობა შეიძლება იყოს მხოლოდ გამგზავნის და მიმღების მნიშვნელობები; ჯონ სერლის თვალსაზრისი ე.წ. „ბრუტალური“ (მეტაფიზიკური) და ინსტიტუციონალური ფაქტების შესახებ.

ობიექტი და ახდენს ნიშანთა კომპლექსის რეპრეზენტაციას, ხოლო ამ ნიშნების საშუალებით – მნიშვნელობისას. მაგრამ ფიზიკური ეგზემპლარი არ მოიცავს ნიშანთა კომპლექსს და ტექსტის მნიშვნელობას, რადგან ეს უკანასკნელი ფიზიკური ერთეულები არ არის და ფიზიკურ ობიექტში ვერ იარსებებს – ორივე მათგანი ინტერპრეტაციის საკითხია (ibid., 42).

ორდინალური კონცეფცია, რომელიც ტექსტს ახასიათებს, როგორც ერთ მთლიან ობიექტს, პეტერსონის მიერ ალოგიკურად და შინაგანად წინააღმდეგობრივად მიიჩნევა, რამდენადაც ტექსტი, ამ კონცეფციის მიხედვით, ერთდროულად ფიზიკური ობიექტიც გამოდის (მისი წაკითხვა და მოსმენა შეიძლება) და არაფიზიკურიც (სიტყვები და მნიშვნელობები მრავალი ლინგვისტის და ენის ფილოსოფოსის მიერ აბსტრაქტულ⁵ ერთეულებად მიიჩნევა და ამავე დროს, ისინი გვეუბნებიან, რომ ტექსტი ერთდროულად ერთიც არის და მრავალიც, რადგანაც ერთი და იგივე ტექსტი ერთდროულად მრავალ ადგილას შეიძლება შეგვხვდეს.⁶ პეტერსონი წარმოგვიდგენს ტექსტის ონტოლოგიის შესახებ დევიდ დეივისის სტანდარტულ ფილოსოფიურ თვალსაზრისს (Davies 2007, 18-19) და ამით მას სურს გვაჩვენოს, რომ ტექსტის კონცეპტის ფილოსოფიური ანალიზის მიხედვით, ტექსტი არის აბსტრაქტული ობიექტი და ის მოკლებულია ფიზიკურ არსებობას და რომ ამგვარ ანალიზს ის პარადოქსული შედეგი მოაქვს, რომ ტექსტს ვერ წაიკითხავ, რადგან შეუძლებელია წაიკითხო ის, რაც ფიზიკურად არ არსებობს. „ტექსტის ფიზიკური ნაწილი თითქოს ამპუტირებულია და ამიტომაც ტექსტი, ფილოსოფიური ვერსიის მიხედვით, პირდაპირი მნიშვნელობით წაკითხვას არ ექვემდებარება“ (Pettersson 2015, 126).

5 პეტერსონის მიხედვით, აბსტრაქტული ობიექტები (მაგალითად, როგორცაა რიცხვები) არ არსებობს დროსა და სივრცეში. მათგან განსხვავებით, ასოები ან სიტყვები არსებობას იწყებს მეტ-ნაკლებად კონკრეტულ დროში, და შესაძლოა მომავალში შეწყვიტონ არსებობა. ის მათ „კრიპტომენტულ“ აბსტრაქციებს უწოდებს, რომლებიც არასტანდარტული აბსტრაქტული ერთეულების კლასს მიეკუთვნებიან და რომელთაც ის განიხილავს, როგორც ფიზიკური მდგომარეობის, ან მენტალური ფაქტების განზოგადების, ან იდეალიზაციის პროდუქტებს“ (Pettersson 2017, 38).

6 მაგალითად, ფამუქის რომანი, რომლის ინგლისური სახელწოდებაცაა Kar, მეხიკოს აერობრტში იყიდება Nieve-ის, ბერლინის წიგნის მაღაზიებში კი Schenee-ს სახელწოდებით, ხოლო მისი ინგლისური ვერსიის Amazon.com-ზე გამოწერა ხდება Snow-ს სახელწოდებით (Pettersson 2017, 14).

მხატვრული ტექსტის ონტოლოგიის ანალიზი, როგორც წესი, მოითხოვს სამი ტიპის ერთეულის – ფიზიკურის, მენტალურის და აბსტრაქტულის – არსებობის ერთმანეთისაგან გამიჯვნას. ამგვარ გამიჯვნას, რასაც ფუნდამენტური მნიშვნელობა აქვს ფილოსოფიაში, და, რომელიც ხშირად სერიოზული დავის საგანს წარმოადგენს, კლასტერ კონცეფციაშიც განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. პეტერსონი გვთავაზობს ორი ტიპის არსებობას – ე.წ. ბრუტალურსა (მეტაფიზიკურსა) და მენტალურად კონსტრუქტირებულს შორის განსხვავებას. მენტალური კონსტრუქციის ერთეულები ადამიანთა კონვენციების პროდუქტებს წარმოადგენს, ხოლო ბრუტალურისა – მათგან დამოუკიდებლად არსებობს. ამ განსხვავებას, როგორც თავად გვეუბნება, იგი სერლის ბრუტალური და ინსტიტუციონალური ფაქტების გამიჯვნის გათვალისწინებით წარმოგვიდგენს (Searle 1995, 1-2). სერლის მიხედვით, ეს უკანასკნელი არსებობს როგორც სოციალური კონსტრუქციები ადამიანთა შეთანხმების საშუალებით და როგორც ენაზე დამოკიდებელი რეალობები; ხოლო ბრუტალური ფაქტები (როგორიცაა, მაგალითად, მთა), ენისაგან დამოუკიდებელი რეალობებია, რომლებიც კაცობრიობის გარეშეც იარსებებს. პეტერსონი მენტალურ კონსტრუქციებს, სერლის თვალსაზრისისაგან განსხვავებით, იმგვარ ერთეულებად მიიჩნევს, რომლებიც არ არის აუცილებელი ადამიანთა შეთანხმების საფუძველზე არსებულ ინსტიტუციონალიზებულ პროდუქტებს წარმოადგენდეს – მაგალითად, ლინგვისტური წარმონაქმნის მნიშვნელობა ან კრიტიკოსის მიერ რომელიმე ტექსტის ინტერპრეტაცია (Pettersson 2017, 24). კიდევ ერთი საკითხი, რომელთან დაკავშირებითაც პეტერსონი განიცდის სერლის ზეგავლენას, არის კონცეპტუალური რელატივიზმი. ეს უკანასკნელი მთლიანად შეთავსებადია მეტაფიზიკურ რეალიზმთან (ანუ პეტერსონის ტერმინოლოგიით – „ბრუტალურად არსებულ ერთეულებთან“). სერლის მიხედვით, „სისტემათა რეპრეზენტაცია, როგორიცაა მაგალითად, ლექსიკა და ზოგადად კონცეპტუალური სქემები, ადამიანთა ქმნადობის ნაყოფია, და, ამდენად, არბიტრალური. შესაძლებელია რეპრეზენტაციათა ნებისმიერი რაოდენობის სხვა სისტემების არსებობაც ერთი და იმავე რეალობის რეპრეზენტაციისათვის“ (Searle 1995, 151).

ზემოთ წარმოდგენილი ბრუტალური და მენტალური რეალობების გაგების თანახმად, ქალაქის ფურცელზე დაწერილი ფიზიკურად, ანუ ბრუტალურად არსებობს, მაგრამ ასოები, სიტყვები და წინადადებები – ფიზიკურად კი არ არსებობს, არამედ ისინი მენტალური ერთეულებია. პეტერსონი მიიჩნევს, რომ ეს მნიშვნელოვანი განსხვავება ფიზიკურ ნიშნებსა (marks) და ნიშნებს (signs) შორის გადამ-

წყვეტია კლასტერ-კონცეფციისათვის და სწორედ ეს განსხვავებაა იგნორირებული ტრადიციულ სამეცნიერო კონტექსტებში.⁷ იგი ხაზგასმით აცხადებს, რომ ფიზიკური ნიშნები შეიძლება გვეგონოს, მაგრამ სინამდვილეში არ არის ასოები და სიტყვები, არამედ შეიძლება ინტერპრეტირებული იქნეს ასოებად და სიტყვებად. „რასაც მეტყველი და მწერალი სუბიექტები ფიზიკურად ქმნიან და რასაც მსმენელი და მკითხველი სუბიექტები ისმენენ ან კითხულობენ, არის არა სიტყვები, არამედ ფიზიკური ბგერები, რომლებიც აღნიშნავენ სიტყვებს, ან ფიზიკური ნიშნები, რომლებიც სიტყვების რეპრეზენტაციას ახდენს“ (Pettersson 2017, 37). ამდენად, კლასტერ-კონცეფციაში ეგზემპლარები ფიზიკურია და ნიშნები და მნიშვნელობა, რომელთა მენტალური აღქმაც ხდება, მენტალური კონსტრუქტებია, რამდენადაც მათი განცდა და ინტერპრეტირება მენტალურია.

ვერბალური კომუნიკაცია კლასტერ-კონცეფციის მიხედვით

ზემოთ წარმოდგენილი მნიშვნელოვანი განსხვავება ფიზიკურ და მენტალურ ერთეულებს შორის კლასტერ-კონცეფციის ფარგლებში, ამ უკანაკნელს რადიკალურად განსხვავებულ კონცეფციად აქცევს როგორც ტექსტის მნიშვნელობის, ისე ზოგადად, ვერბალური კომუნიკაციის შესახებ.

ვერბალური კომუნიკაციის მოდელი, კლასტერ-კონცეფციის მიხედვით, ამგვარად გამოიყურება: მეტყველი ან მწერალი სუბიექტი, ან კოლექტიური ადრესანტი (გამგზავნი) ქმნის ფიზიკურ გამონათქვამს, რომელსაც უგზავნის ერთ ან მეტ მსმენელს ან მკითხველს და ცდილობს, იპოვოს სხვადასხვა გზები საკუთარი კომუნიკაციური ინტენციის გამოსავლენად, რათა მიმღებისათვის შესაძლებელი გახდეს გამგზავნის მნიშვნელობის გაგება და მასზე რეაგირება (ibid., 50). კომუნიკაციურ „თანმშრომლობაში“ ჩართული მიმღები მენტალურად რეაგირებს გამგზავნის ნაგულისხმევ მნიშვნელობაზე სიტუაციის ფართო აღქმით⁸ და მენტალური საპასუხო რეაქციით (ibid., 63). ფიზიკური გამონათქვამი, რომელსაც ქმნის გამგზავნი, კლასტერ-კონცეფციის მიხედვით, არ შეიცავს სიტყვებსა და წინადადებებს, არამედ მხოლოდ ფიზიკურ ნიშნებს. ამ თვალსაზრისით, იგი რადიკალურად

7 „ჩვენ ვმეტყველებთ სიტყვებით (და გვესმის ისინი, ან ვწერთ (გკითხულობთ) მათ“ (Chaudhuri 2010, 11); „მე მესმის ან ვხედავ სიტყვებს და ვიგებ მათ, რომელიც არ შემოისაზღვრება გამონათქვამის ლინგვისტური გაგებით“ (Lycan 2008, 72).

8 პეტერსონი განმარტავს, რომ ტერმინით „ფართო აღქმა“ (“wider perception”) იგი გულისხმობს მიმღების მიერ სიტუაციის მთლიანურ აღქმას, რომელიც არ შემოისაზღვრება გამონათქვამის ლინგვისტური გაგებით (Pettersson 2017, 53).

განსხვავდება გამონათქვამის სტანდარტული გაგებისაგან ლინგვისტიკაში, სადაც ზეპირი ან წერილობითი გამონათქვამი მნიშვნელობის მატარებელ ლინგვისტურ სტრუქტურას წარმოადგენს. რამდენადაც, როგორც პეტერსონი განმარტავს, გამონათქვამი კლასტერ-კონცეფციის „გულია“ (ibid., 2), საჭიროდ მიგვაჩნია განვმარტოთ, თუ როგორია მისი გაგება ლინგვისტიკასა და პრაგმატიკაში. უმეტესწილად, პრაგმატიკულ თეორიებში გამონათქვამი განისაზღვრება, როგორც წინადადების ანალოგი, წინადადების რეალიზაცია მეტყველებაში. „წინადადება არის აბსტრაქტული თეორიული ერთეული, რომლის განსაღვრა გრამატიკის თეორიის ფარგლებშია შესაძლებელი, ხოლო გამონათქვამი არის წინადადების ანალოგი, რეალურ კონტექსტში – წინადადება-ფრაგმენტი“ ... „სემანტიკას აინტერესებს წინადადების მნიშვნელობა, ხოლო პრაგმატიკას – გამონათქვამის მნიშვნელობა“ (Levinson 1983, 18-19). პრაგმატიკული თვალსაზრისით, საკმარისი არ არის მხოლოდ ლინგვისტური ცოდნის გამოყენება, რათა გასაგები გახდეს ცალკე აღებული გამონათქვამის სემანტიკური შინაარსი (ანუ მისი ლინგვისტური მნიშვნელობა, რაც სემანტიკის სფეროს მიეკუთვნება) და ამგვარი მნიშვნელობა არსებითად განსხვავდება მნიშვნელობისაგან, რომელიც გამონათქვამის გარშემო არსებული კონტექსტის გათვალისწინებით მიიღება. ენაში არსებულ სემანტიკურ მნიშვნელობასა და რეალურ მნიშვნელობას შორის დაშორება შეიძლება ნათელი გახდეს ენისაგან დამოუკიდებელი კონტექსტუალური ფაქტორების, ანუ იმ ექსტრალინგვისტური ფაქტორების გათვალისწინებით, რომლებიც ინტერპრეტატორებს საშუალებას აძლევს, განახორციელონ პრაგმატიკული ინფერენციები. ექსტრალინგვისტური ფაქტორები, რომელთაც ეფუძნება პრაგმატიკული ინფერენციები, არ შემოისაზღვრებიან რეალური სიტუაციური კონტექსტით (სად, როდის, რატომ, რა ვითარებაში, ვის მიერ წარმოითქმება გამონათქვამი) – „კონტექსტი, რომელიც საჭიროა ტექსტის გაგებისათვის, სიტუაციურ კონტექსტზე მეტია“ (Johansen 2002, 72). ის მოიცავს გამგზავნი და მიმღები სუბიექტებისათვის დამახასიათებელ საკითხთა ისეთ ფართო სპექტრს, როგორიცაა სოციალური, კულტურული, იდეოლოგიური ფასეულობები, ფსიქოლოგიური მდგომარეობა, რელიგიური რწმენა და ა.შ. ამდენად, გამონათქვამის მნიშვნელობის იდენტიფიცირებისას, არა მხოლოდ ადამიანური ქმედება, არამედ კონტექსტიც მისი ფართო გაგებით (ფსიქოლოგიური, ინტერპერსონალური, ლინგვისტური, კულტურული და სოციალური) არის ჩართული.

პეტერსონის თვალსაზრისი რადიკალურად განსხვავდება როგორც გამონათქვამის, ისე კონტექსტის ზემოთ წარმოდგენილი გა-

გებისაგან. ამ კონცეფციის მიხედვით, კონტექსტი – იქნება ეს ფიზიკური, ინტერაქციული, სოციალური თუ კულტურული, ვერ მოახდენს გავლენას მნიშვნელობაზე თავად ენის გამომყენებლების საერთო ფონური ცოდნის გარეშე (Pettersson 2017, 142). ამ კონცეფციაში გამონათქვამი არის ტექსტის ორიგინალი – ტექსტს გამოკლებული მისი შესაძლო ეგზემპლარები (ანუ ფიზიკური ეგზემპლარები), ხოლო ვერბალური სტრუქტურა არ მიიჩნევა მის შინაგან საკუთრებად, რამდენადაც ის მხოლოდ ფიზიკურია და მისი ვერბალურობა ფარდობითია მხოლოდ მის ინტერპრეტაციასთან. „მხოლოდ ინტერპრეტაციის შემდეგ შეიძლება ისინი დახასიათდეს როგორც ფიზიკური ერთეულები და როგორც ვერბალური სტრუქტურები“ (ibid., 2). სერიოზული პრობლემა, რომელიც იქმნება ამ მიმართებით, პეტერსონისათვის მდგომარეობს „ინტერპრეტაციის შემდეგ გამონათქვამსა“ და „ინტერპრეტაციამდე გამონათქვამს“ შორის აღრევაში“ (ibid., 2). სწორედ ტექსტის ამ ტრადიციულ გაგებას, რომ იგი გამგზავნი და მიმღები სუბიექტებს გარეთ არსებობს, თითქოს ის „ინტერპრეტაციის შემდეგ გამონათქვამი“ იყოს, არაერთ პრობლემასთან მივყავართ – ერთ-ერთი მათგანი არის ის, რომ ტექსტი გამგზავნი და მიმღები სუბიექტების ინტერპრეტაციისაგან დამოუკიდებლად თავისთავად „ატარებს სიტყვებს და მნიშვნელობას თავის ფიზიკურ სხეულში“ (ibid., 2). თუ ამას ვაღიარებთ, მაშინ ბუნებრივია, რომ ტექსტი მნიშვნელობის მატარებელია – ან დეტერმინირებულია, როგორც ამას ობიექტიზმის მიმდევრები მიიჩნევენ, ან არადეტერმინირებული – როგორც პოსტრუქტურალისტები ამტკიცებენ; რომ „ნაწარმოების მნიშვნელობა ... იდენტურია გამონათქვამის მნიშვნელობისა“ (Stecker 2003, 59); და რომ გამონათქვამის მნიშვნელობა განისაზღვრება ადრესანტის ინტენციით – „უხეშად რომ ვთქვათ, ყველაფერი, რასაც ის წარმოადგენს, არის მეტყველი სუბიექტის ინტენციით განსაზღვრული და მის მიერ სტანდარტული ენობრივი საშუალებებით გადმოცემული“ (Cruse 2004, 263). და თუ ამას ვაღიარებთ, ვერბალური კომუნიკაციის ტრადიციული ლინგვისტური მოდელის მიხედვით, გამგზავნი სუბიექტი თავის აზრებს „დებს“ სიტყვებში და მიმღებმა სუბიექტმა ისინი უნდა „მიიღოს“ და „გადმოიტანოს“ და სწორედ ასე მეტაფორულად ოპერირებს ლინგვისტიკაში „არხი მეტაფორას“ (conduit metaphor) კონცეპტი ზეპირი ან წერითი კომუნიკაციის პროცესში – ადამიანები „ჩადებენ“ თავიანთ მენტალურ შინაარსს (ფიქრებს, გრძნობებს, მნიშვნელობებს და ა.შ.) „კონტეინერებში“ (სიტყვებში, წინადადებებში, ტექსტებში), რომლებიც მიმღებმა სუბიექტებმა უნდა „გახსნან“ და „ამოალაგონ“ (Reddy 1993). მაიკლ რედი აღწერს, თუ რა გავლენას ახდენს ჩვენს წარმოდგენაზე კომუ-

ნიკაციის შესახებ „არხი მეტაფორა“ და რამდენად მცდარ აზრს ჩავვინერგავს იგი – რომ რეალურად შესაძლებელია ვინმეს მენტალური შინაარსის „გახსნა და ამოლაგება“ არხის საშუალებით (სიტყვათა, წინადადებათა, ტექსტების კონტინენრიდან). მისი მიხედვით, რაც სინამდვილეში ხდება, არის არა „გახსნა და ამოლაგება“, არამედ „რეკონსტრუქცია და ჰიპოთეზის გადამოწმება“ (ibid., 186). თუმცა პეტერსონი გარკვეულ საკითხებში არ ეთანხმება რედის, პირველ რიგში იმიტომ, რომ იგი კომუნიკაციის შესახებ ისე წერს „თითქოს ის მხოლოდ გამგზავნი სუბიექტის კომუნიკაციური ინტენცია იყოს“ (Pettersson 2017, 18), რედის თეორია კლასტერ-კონცეფციის უმნიშვნელოვანეს საფუძველს წარმოადგენს. ამ კონცეფციის თანახმად, ფიზიკურ გამონათქვამს არ მოჰყავს არსებობაში ტექსტის მნიშვნელობა – არც გამონათქვამებს და არც ნიშნებს, რომელთაც ისინი წარმოადგენენ, არა აქვთ „ობიექტური მნიშვნელობა.“ თუ რაიმე „ობიექტურობაზე“ შეიძლება იყოს ლაპარაკი, ეს არის ის, რაზედაც თანხმდებიან გამგზავნი და მიმღები სუბიექტები – როგორც რ. ჰარისი აღნიშნავს, „არსებობს მხოლოდ კომუნიკანტების მიერ კონსტრუირებული მნიშვნელობა. უფრო მაღალი ინსტანცია აღარ არსებობს“ (Harris 1998, 145). ფიზიკური ნიშნების გაშიფვრისას კომუნიკაციური აქტის მონაწილეები არ არიან ჩართული მნიშვნელობის იდენტიფიცირების პროცესში, არამედ ახდენენ მნიშვნელობების კონსტრუირებას ნიშნების აღქმითა და ინტერპრეტაციით. კლასტერ-კონცეფციაში მნიშვნელობა არ არსებობს გამგზავნი და მიმღები სუბიექტების მიღმა. გამგზავნი სუბიექტს – საკომუნიკაციო აქტის ინიციატორს – აქვს ინტენცია, მიაღწიოს გარკვეულ მიზანს,⁹ რაც ხშირად მდგომარეობს რეპრეზენტაციის¹⁰ (რომელიც დაახლოებით ეკვივალენტურია სპეციფიკური ილოკუციური ძალით წარმოთქმული პროპოზიციისა სამეტყველო აქტების თეორიაში) წარმოდგენაში გარკვეული „დამოკიდებულებრივი პოზიციიდან“ „საქმის ვითარების შესახებ“ (Pettersson 2017, 49). ამდენად, გამგზავნის მნიშვნელობას პეტერსონი აღწერს როგორც ინტენციას, რომელიც მოიცავს რეპრეზენტაციის წარდგენასა და დამოკიდებულებების გამოხატვას. (ibid., 49). ეს ინტენცია არის ნაწილი უფრო ფართო კონტექსტისა – „სუბსტანციური ინტენცია თითქოს უფრო „დიდ პაკეტში“ არის შეფუთული – ინტენცია, რომ ეს შინაარსი მიეწოდოს მიმღებს“ (ibid., 53). ეს უკანასკნელი მენტალურად რეაგირებს ნიშანთა კომპლექსზე და მათი აღ-

9 მოცემულ შემთხვევაში, პეტერსონის თვალსაზრისი თანხმობაშია გრაისისეული გამგზავნის მნიშვნელობის გაგებასთან, რაც გულისხმობს გარკვეული მიზნის ინტენციურულ რეალიზაციას.

10 როგორც პეტერსონი გვიხსნის, ყველა ტექსტი არ არის რეპრეზენტაციული, მაგალითად, ისეთი გამონათქვამი, როგორცაა „გამარჯობა.“

ქმისა და ინტერპრეტაციის საშუალებით ახდენს მნიშვნელობის კონსტრუირებას. თუმცა, მხოლოდ ლინგვისტური გაგება არ მოეთხოვება მკითხველს, არამედ იგი, როგორც ზემოთ აღინიშნა, „ფართო აღქმით“ რეაგირებს გამგზავნის მნიშვნელობაზე (ibid., 52-53).

კრიტიკოსის მხრიდან ტექსტის მნიშვნელობის ფორმულირება, პეტერსონის სქემის მიხედვით, იწოდება „კომენტატორის მნიშვნელობად“. ეს უკანასკნელი, ოდესღაც ჩვეულებრივი მკითხველი, კომენტატორის – „მესამე მხარის“ – პოზიციიდან ახდენს მნიშვნელობის ფორმირებას (ibid., 54). თუმცა, აუცილებელი არ არის, რომ ან მკითხველის მნიშვნელობები და ან კომენტატორის მნიშვნელობები დაემთხვეს გამგზავნის მნიშვნელობას. აღნიშნულ კონცეფციაში მათ მნიშვნელობებს არა აქვს ერთი და იგივე სტრუქტურა, სხვაგვარად რომ ვთქვათ, მიმღების მნიშვნელობა ან კომენტატორის მნიშვნელობა არ „აირეკლავს“ გამგზავნის მნიშვნელობას. პეტერსონისათვის, გამგზავნის მნიშვნელობა არის „სურვილი, მიაღწიოს გარკვეულ მიზანს“, ხოლო „კომუნიკაციურ „თანმშრომლობაში“ ჩართული მიმღები კი გამგზავნის მნიშვნელობის გაგების მცდელობაშია“ (ibid., 63).

მხატვრული ტექსტის მნიშვნელობა როგორც ხდომილება კომუნიკაციის პროცესში

პეტერსონის კონცეპტუალიზაცია, როგორც ზემოთ აღინიშნა, ენება ყველა სახის ვერბალურ კომუნიკაციას – მხატვრულსაც და არამხატვრულსაც. ამდენად, ის იძლევა შესაძლებლობას, შესწავლილ იქნას მხატვრული კომუნიკაციის სპეციფიკური ბუნება, რომლის ფარგლებშიც ავტორისა და მკითხველთა ინტერსუბიექტური ჩართულობა უნდა დავინახოთ როგორც პროცესი, სადაც მნიშვნელობის იდენტიფიცირება კი არ ხდება, არამედ იგი კონსტრუირდება ნიშანთა კომპლექსისა აღქმისა და ინტერპრეტაციის გზით; კონცენტრირება მოვახდინოთ მკითხველის მიერ მნიშვნელობის რეკონსტრუქციის პროცესში მის მენტალურ საპასუხო რეაგირებაზე ავტორის მნიშვნელობაზე, რაც მისი მხრიდან სიტუაციის ფართო აღქმასაც გულისხმობს; განვიხილოთ მკითხველთა კოგნიტური და ემოციური რეფლექსია, როგორც შედეგი, მისი შეხვედრისა მხატვრული ნაწარმოების „სხვაგვარობასა“ (otherness) „სინგულარულობასთან“ (singularity). ეს უკანასკნელი, დერეკ ატრიჯის თეორიის მიხედვით, წარმოადგენს არა ნაწარმოებისათვის დამახასიათებელი თანდაყოლილ თვისებას, არამედ ხდომილებას, რომელიც „ხდება“ რეცეფციის პროცესში. ატრიჯის ეს თეორია, ჩვენი აზრით, მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს მხატ-

ვრული კომუნიკაციის სპეციფიკური ბუნებისა და მკითხველის მიერ მხატვრული ტექსტის ესთეტიკური რეცეფციის კვლევაში. უფრო მეტიც, ის მოგვცემს შესაძლებლობას, უფრო სიღრმისეულად შევისწავლოთ ვერბალური, ესთეტიკური და კულტურული განზომილებების ურთიერთმიმართებები, რამაც შეიძლება გავლენა მოახდინოს მხატვრულ კომუნიკაციაში მნიშვნელობის ფორმირების პროცესის სპეციფიკური ბუნების გამოვლენაზე.

ატრიჯის მიხედვით, მხატვრულ ქმნადობასთან (უბრალოდ პროდუცირებისაგან განსხვავებით) საქმე გვაქვს მაშინ, როდესაც „ესა თუ ის ობიექტი, ან კონცეპტუალური პარადიგმა – აქამდე არარსებული და აქამდე ფიქრმიუწვდომელი – შემოდის არსებობაში“ (Attridge 2011, 681) – „მოველინება კულტურას“ (ibid., 685). ატრიჯი ამტკიცებს, რომ ვერანაირი განსაკუთრებული შინაგანი, სტილისტური, ფორმალური ან სხვა რამ მახასიათებელი ვერ განსაზღვრავს მხატვრულ ნაწარმოებს ... მხოლოდ განსაკუთრებული განცდა ... ზიარება მის **განსხვავებულობასთან (otherness)** – აქცევს მას სხვა ნაწერებისაგან განსხვავებულს (Attridge 2015, 16). ატრიჯი თავის შემოტანილ ტერმინს – „განსხვავებულობა“ – განმარტავს როგორც რაღაც იმგვარს, რასაც „კულტურა გვთავაზობს ფიქრისთვის, წარმოსახვისთვის, გრძობისთვის, შეცნობისთვის“ ... „რომელიც ზეგავლენას ახდენს ინდივიდის მენტალური სამყაროს არსებულ კონფიგურაციებზე ... გარკვეულ კულტურულ ველზე, რამდენადაც ის ცალკეულ ინდივიდუალიზმში იბადება...“ (Attridge 2004, 26-27). ატრიჯი მიიჩნევს, რომ თუ ნაწარმოები ვერ შეძლებს გამოავლინოს განსხვავებულობა და იმეორებს „უკვე არსებულ დამოკიდებულებებს და ფასეულობებს“ (2015, 18), ის არ არის მხატვრული ნაწარმოები. ატრიჯისათვის, **ინვენციისა და განსხვავებულობის (invention and otherness)** კონცეპტებისაგან განუყოფელია სინგულარულობის (**singularity**) კონცეპტი (ibid., 63). მათ მსგავსად, ის არის არის ნაწარმოებისთვის თანდაყოლილი მახასიათებელი, არამედ ხდომილება – „რათა გახდეს რჩეული რეცეფციის პროცესში (ibid., 64). სინგულარულობა გაგებულ უნდა იქნას „ტრანსფორმატიული განსხვავების“ თვალსაზრისით (ibid., 136) – ეს არის შესაძლებლობა, არსებულ კულტურულ ველში სინგულარულს მივესალმით და არა უბრალოდ განსხვავებულად ახალს. ამდენად, ლიტერატურული სინგულარულობა, აღნიშნავს იგი, გაცილებით მეტია, ვიდრე ნაწარმოების ვერბალური სპეციფიკა, გაცილებით მეტი, ვიდრე სპეციფიკურ სიტყვათა სპეციფიკური განლაგება (ibid., 65). მხატვრული ტექსტის, მაგალითად ლექსის, და არა უბრალოდ ვერბალური განლაგების, უნიკალურობის სრული შეგრძნება გამომდინარეობს ლიტერატურუ-

ლი ტრადიციის შესაძლებლობათა გამოყენების შეცნობით და ფართო კულტურული კონტექსტით. ამ თვალსაზრისით, ლექსის უნიკალურობის შეცნობა დამოკიდებულია არა მხოლოდ რომელიმე ენის ცოდნაზე ან მის სტილისტურ შესაძლებლობებზე, არამედ, ასევე, „იმ ტრადიციების კარგად ცოდნაზე, რომლის ფარგლებშიც ეს ლექსი შეიქმნა, და, კიდევ უფრო მეტად შეიძლება გაღრმავდეს მისი შექმნის სპეციფიკური ისტორიული და ბიოგრაფიული კონტექსტის ცოდნით“ (ibid., 66).

ატრიჯი ამტკიცებს, რომ მხატვრული ნაწარმოების კითხვა, არის აქტივ და ხდომილება (Attridge 2011, 687). მისი აზრით, ჩვეულებრივი კითხვა გადაიზრდება შემოქმედებით კითხვაში მხოლოდ მაშინ, როცა ის „მიაღწევს განსხვავებულობის, ნაწარმოების სინგულარულობის და ინვენციურობის შეცნობას“¹¹ (Attridge 2004, 79).

მხატვრული ტექსტის მნიშვნელობა, თუ მას ა. პეტერსონის და დ. ატრიჯის პერსპექტივიდან დავინახავთ, შეიძლება აღწრილ იქნას როგორც მენტალური კონსტრუქტი, რომელიც ვერ იარსებებს ავტორისა და მკითხველის მიღმა და რომელიც არის ხდომილება – ხდება კრეატიული კომუნიკაციის პროცესში. ამგვარი კონცეპტუალიზაცია გვთავაზობს ახალ შესაძლებლობას, რომ მხატვრული კომუნიკაცია და მნიშვნელობის ფორმირების პროცესი შევისწავლოთ პრაგმატიკულ-კომუნიკაციური და ესთეტიკურ-კომუნიკაციური პერსპექტივიდან, რაც შესაძლებელს გახდის მხატვრული ტექსტის ინტერპრეტაციის და მხატვრული ტექსტის მნიშვნელობის ამოუწურავი პრობლემის უფრო ღრმად შესწავლას.

დამოწმებანი

- Attridge, Derek. 2015. *The Work of Literature*. Oxford: Oxford University Press.
- Attridge, Derek. 2011. Context, Idioclature, Invention. *New Literary History*, vol. 42, no. 4: 681-699.
- Attridge, Derek. 2004. *The Singularity of Literature*. London and New York: Routledge.
- Austin, John L. 1962. *How to Do Things with Words*. Oxford: Oxford University Press.
- Barthes, Ronald. 2002. The Death of the Author. In *The Book History Reader*, eds. David Finkelstein and Alistair McCleery, 221-224. London: Routledge.

11 ტექსტი, ატრიჯისათვის, მხოლოდ ინერტული სიტყვების ნაბეჭდია და ნაწარმოები არსებობაში მოჰყავს მკითხველს.

- Barthes, Roland. 1988. Textual Analysis of a Tale by Edgar Allan Poe. In *The Semiotic Challenge*, trans. Richard Howard, 261-293. Oxford: Blackwell.
- Barthes, Ronald. 1972. *Mythologies*, trans. Annette Lavers. New York: The Noonday Press.
- Barthes, Ronald. 1967. *The Elements of Semiology*, trans. Annette Lavers and Colin Smith. London: Cape.
- Bakhtin, Mikhail. 1971. "Discourse Typology in Prose in Readings. In *Russian Poetics: Formalist and Structuralist Views*, eds. Ladislav Matejka and Krystyna Pomorska, 176-196. Cambridge: M.I.T. Press.
- Beardsley, Monroe C. 1981. *Aesthetics: Problems in the Philosophy of Criticism*, 2nd ed. Indianapolis: Hackett Publishing company.
- Carroll, Noël. 2003. *Beyond Aesthetics: Philosophical Essays*. Cambridge: Cambridge University Press.
- Chaudhuri, Sukanta. 2010. *The Metaphysics of Text*. Cambridge: Cambridge University Press.
- Cruse, D. Alan. 2004. *Meaning in Language: An Introduction to Semantics and Pragmatics*. Oxford: Oxford University Press.
- Davies, David. 2007. *Aesthetics and Literature*. London and New York: Continuum.
- Derrida, Jacques. 1988. Signature Event Context. In *Limited Inc*. Jacques Derrida, ed. Gerald Graff, trans. Samuel Weber, 1-23. Evanston: Northwestern University Press.
- Firth, J. R. 1957. *Papers in Linguistics (1934-1951)*. Oxford: Oxford University Press.
- Fish, Stanley. 1980. *Is There a Text in This Class? The Authority of Interpretive Communities*. Cambridge, MA: Harvard University Press.
- Fish, Stanley. 1971. *Surprised by Sin: The Reader in Paradise Lost*. Berkeley: University of California.
- Grice, H. Paul. 1989. *Studies in the Way of Words*. Cambridge, MA: Harvard University Press.
- Grice, H. Paul. 1969. Utterer's Meaning and Intention. *The Philosophical Review* 78: 147-177.
- Halliday, M. A. K. 1978. *Language as a Social Semiotic*. London: Edward Arnold.
- Halliday, M. A. K. 1973. *Explorations in the Function of Language*. London: Edward Arnold.
- Harris, Roy. 1998. *Introduction to Integrational Linguistics*. Oxford: Pergamon, Elsevier Science.
- Hirsch, E. D. 1967. *Validity and Interpretation*. New Haven: Yale University Press.

- Hymes, Dell. 1974. *Foundations in Sociolinguistics: An Ethnographic Approach*. Philadelphia: University of Pennsylvania Press.
- Iser, Wolfgang. 2000. Do I Write For an Audience? *PMLA*. vol. 115, no. 3: 310-314.
- Johansen, Jørgen Dines. 2002. *Discourse: A Semiotic-Pragmatic Approach to Literature*. Studies in Semiotics and Communication. Toronto, Buffalo, London: University of Toronto Press.
- Knapp Steven and Walter Benn Michaels. 1982. Against Theory. *Critical Inquiry* 8: 723-742.
- Levinson, Jerrold. 1992. Intention and Interpretation: A Last Look. In *Intention and Interpretation*, ed. Gary Iseminger. 221-256. Philadelphia: Temple University Press.
- Levinson, Jerrold. 2002. Hypothetical Intentionalism: Statement, Objections, and Replies. In *Is There a Single Right Interpretation?* Ed. Michael Krausz, 309-318. University Park: Pennsylvania State University Press.
- Levinson, Stephen, C. 1983. *Pragmatics*, Cambridge: Cambridge University Press.
- Lycan, William G. 2008. *Philosophy of Language: A Contemporary Introduction*, 2nd ed. London and New York: Routledge.
- Mey, Jacob L. 1993. *Pragmatics: An Introduction*. Oxford: Blackwell.
- Olsen, Stein Haugom. 1982. 'The Meaning' of a Literary Work. *New Literary History*, Problems of Literary Theory, vol. 14, no. 1: 13-32
- Pettersson, Andres. 2017. *The Idea of a Text and the Nature of a Textual Meaning*. Amsterdam/Philadelphia: John Benjamins Publishing Company.
- Pettersson, Andres. 2017. A Revisionary View of Texts, Textual Meaning, and Fictional Characters. *Organon F* 24 (3): 368-369.
<http://www.klemens.sav.sk/fusav/doc/organon/2017/3/366-383.pdf> Accessed 19.06.2018.
- Pettersson, Andres. 2015. Can Texts Be Read? The Anatomy of Paradox. *Organon F* 22 (Supplementary Issue): 118-132 [Http://www.klemens.sav.sk/fusav/doc/organon/prilohy/2015/1/118-132.pdf](http://www.klemens.sav.sk/fusav/doc/organon/prilohy/2015/1/118-132.pdf) Accessed 19.06.2018.
- Reddy, Michael J. 1993. Conduit Metaphor. In *Metaphor and Thought*, ed. Andrew Ortony, 164-201. Cambridge: Cambridge University Press.
- Richards, I. A. 2014. *Practical Criticism*. Volume 4. London and New York: Routledge.
- Runder, Richard. 1950. The Ontological Status of the Esthetic Object. *Philosophy and Phenomenological Research* 10 (3): 380-388.
- Searle, John R. 1995. *The Construction of Social Reality*. New York: Free Press.

- Searle, John R. 1969. *Speech Acts: An Essay in the Philosophy of Language*. Cambridge: Cambridge University Press.
- Stecker, Robert. 2003. *Interpretation and Construction: Art, Speech and the Law*. Malden: Black Publishing.
- Stout, Jeffrey. 1982. What is the Meaning of a Text. *New Literary History*. Problems of Literary Theory, vol. 14, no. 1: 1-12.
- Tolhurst, William E. 1979. On What a Text is and How It Means. *The British Journal of Aesthetics* 19: 3-14.
- Verschueren, Jef. 1999. *Understanding Pragmatics*, London: Arnold.
- Wimsatt, W. K. and Monroe C. Beardsley. 1949. The Affective Fallacy. *Sewanee Review*, vol. 57, no. 1: 31-55.
- Wimsatt, W. K. and Monroe C. Beardsley. 1946. The Intentional Fallacy. *Sewanee Review*, vol. 54: 468-488.

ARTICLES

Nino Tevdoradze
Ilia State University

The Meaning of a Literary Text as a Mental Construct and as an Event in Literary Communication

Keywords: *Literary meaning, verbal communication, literary communication, cluster conception*

1. Introduction

